

Guia d'acollida de la ciutat de Sabadell

ქალაქ საბადელში მიღების გზამკვლევი

**Què necessites saber si has vingut
a viure a la nostra ciutat?**

რა უნდა იცოდეთ, როდესაც
ჩვენს ქალაქში ჩამოდიხართ
საცხოვრებლად?

**Informació útil per a nous
ciutadans i ciutadanes**

სასარგებლო ინფორმაცია
ახალი მოქალაქეებისთვის



HOLA! BUENOS DÍAS
BENVINGUTS!
¡HOLA!
BENVINGUDES!
¡HOLA!
BON DIA
HOLA!
¡BIENVENIDOS!



ÍNDEX

1. Benvinguda a Sabadell
2. Presentació del municipi de Sabadell
3. Ajuntament de Sabadell
4. Servei de primera acollida
5. Servei d'assessorament en matèria d'estrangeria
6. Empadronament. Servei d'Atenció Ciutadana (SAC)
7. Targeta sanitària individual (TSI)
8. Serveis sanitaris
9. Escolarització d'infants i joves
10. Formació per a persones adultes
11. Homologació i convalidació d'estudis estrangers
12. Feina i formació laboral
13. Serveis socials
14. Habitatge
15. Participació ciutadana i voluntariat
16. Feminismes i LGBTI
17. Joventut
18. Xarxa de biblioteques
19. Defensa dels drets de la ciutadania
20. Transport públic
21. Altres serveis d'interès

სარჩევი

1. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საბადელში
2. საბადელის მუნიციპალიტეტის პრეზენტაცია
3. საბადელის ქალაქის საბჭო
4. პირველადი მიღების მომსახურება
5. საკონსულტაციო სამსახური მიგრაციის საკითხებში
6. რეგისტრაცია. მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი (SAC)
7. ჯანმრთელობის ინდივიდუალური ბარათი (TSI)
8. ჯანდაცვა
9. ბავშვთა და მოზარდთა სასკოლო განათლება
10. სასწავლო კურსები ზრდასრულთათვის
11. უცხოეთში მიღებული განათლების გათანაბრება და აღიარება
12. სამუშაო და პროფესიული მომზადება
13. სოციალური მომსახურების სააგენტოები
14. საცხოვრებელი
15. მოქალაქეთა ჩართულობა და მოხალისეობა
16. გენდერი, ფემინიზმი და ლგბტი
17. ახალგაზრდები
18. ბიბლიოთეკათა ქსელი
19. მოქალაქეთა უფლებების დაცვა
20. საზოგადოებრივი ტრანსპორტი
21. სხვა საჭირო სამსახურები

01 Benvinguda a Sabadell

Benvinguts i benvingudes a Sabadell!

Sabadell és una ciutat acollidora. La força de la nostra ciutat, la teva, és la de totes les persones que hi convivim i que treballem activament per construir un futur millor. La teva contribució és bàsica per a una ciutat que defensa la diversitat com un dels seus valors.

Aquesta guia va adreçada a totes les persones que heu arribat recentment a la ciutat i necessiteu informació sobre les gestions bàsiques que us donaran accés als vostres drets i deures com a veïns o veïnes.

És una guia de suport on trobareu tota la informació bàsica per poder conèixer millor la nostra ciutat, els principals equipaments i serveis i els recursos necessaris per al vostre dia a dia.

Aquesta guia ha estat traduïda a diferents idiomes, tenint en compte la diversitat lingüística de les persones nouvingudes a la ciutat. Podeu consultar la guia i els idiomes disponibles a:

<http://web.sabadell.cat/novaciudadania>



Esperem que us sigui de molta utilitat.

Tots i totes fem Sabadell!



კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საბადელში

მოგესალმებით საბადელში!

საბადელი სტუმართმოყვარე ქალაქია. ჩვენი, შენი ქალაქის სიძლიერე არის მასში მცხოვრები ყველა ადამიანის ერთობა, რომლებიც აქტიურად ვმუშაობთ უკეთესი მომავლის ასაშენებლად. შენს მიერ შეტანილი წვლილი არსებითია ამ ქალაქისთვის, რომელიც იცავს მრავალფეროვნებას, როგორც მის ერთ-ერთ ღირებულებას.

ეს გზამკვლევი განკუთვნილია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ახალი ჩამოსული ხართ ქალაქში და გესაჭიროებათ ინფორმაცია იმ ძირითადი პროცედურების შესახებ, რომლებიც მოგცემთ საშუალებას, გაეცნოთ თქვენს, როგორც ქალაქის მაცხოვრებლების უფლებებსა და მოვალეობებს.

ამ გზამკვლევაში ნახავთ საჭირო ინფორმაციას, რომელიც დაგეხმარებათ ქალაქის, მისი ძირითადი უწყებებისა და სამსახურების, ასევე აუცილებელი რესურსების უკეთ გაცნობაში.

ქალაქში ჩამომსვლელთა ენობრივი მრავალფეროვნების გათვალისწინებით ეს გზამკვლევი ითარგმნა მრავალ ენაზე. გზამკვლევისა და ხელმისაწვდომი ენების ნახვა შეგიძლიათ აქ:



<http://web.sabadell.cat/novaciutadania>

ვიმედოვნებთ, რომ გზამკვლევი თქვენთვის სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს.

ყველა ერთად ვქმნით საბადელს!


02 Presentació del municipi de Sabadell

Sabadell és una ciutat catalana amb més de 3.500 anys d'història. És la capital de la comarca del **Vallès Occidental** juntament amb Terrassa, i es troba a uns 20 kilòmetres de Barcelona.

La població de Sabadell és de **215.760 habitants** (dades del 2022). És la cinquena ciutat més gran de Catalunya, després de Barcelona, l'Hospitalet, Terrassa i Badalona.

Històricament, des del segle XVI, la indústria tèxtil va ser el principal motor econòmic, fins el segle XX, amb l'arribada de moltes persones migrades d'arreu del territori català i espanyol, sobretot els anys 50, 60 i 70. Això ha fet que Sabadell sigui una ciutat diversa, formada per persones de diferents orígens i procedències, veïns i veïnes que han aportat riquesa social, diversitat cultural i enfortiment de la nostra ciutat.

Aquesta incorporació s'ha fet d'una manera positiva i constructiva, gràcies tant als mecanismes públics de l'Ajuntament de la ciutat com al treball de les diverses entitats del teixit associatiu sabadellenc i, evidentment, a l'esforç individual de les persones mateixes que han escollit Sabadell per establir-hi la seva residència i començar un nou camí de vida.



საბადელის მუნიციპალიტეტის პრეზენტაცია

საბადელი არის 3500 წლის ისტორიის მქონე კატალონიური ქალაქი. იგი ტერასასთან (Terrassa) ერთად წარმოადგენს ვალეს-ოქსიდენტალის (**Vallès Occidental**) რეგიონის დედაქალაქს და მდებარეობს ბარსელონიდან 20 კმ-ში.

საბადელის მოსახლეობა შეადგენს **215.760 მოსახლეს** (2022 წლის მონაცემები). ის კატალონიის სიდიდით მეხუთე ქალაქია, ბარსელონის, ოსპიტალეტის, ტერასას და ბადალონის შემდეგ.

ისტორიულად, XVI საუკუნიდან ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი იყო ტექსტილის ინდუსტრია XX საუკუნემდე, როდესაც აქ ჩამოვიდა ბევრი ადამიანი კატალონიიდან და ესპანეთიდან, განსაკუთრებით 50-იან, 60-იან და 70-იან წლებში. შედეგად, საბადელი იქცა მრავალფეროვან ქალაქად, რომლის მოსახლეობა შედგება განსხვავებული წარმოშობის ხალხისგან, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ჩვენი ქალაქის სოციალურ მრავალსახეობაში, კულტურულ მრავალფეროვნებაში და მის გაძლიერებაში.

ისინი პოზიტიურად და კონსტრუქციულად ჩაერთნენ ქალაქის ცხოვრებაში, რაც განხორციელდა ქალაქის საბჭოს საჯარო მექანიზმებისა და საბადელის სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანებული ქსელის დამსახურებით, და რა თქმა უნდა, თითოეული იმ ადამიანის პირადი ძალისხმევით, რომლებმაც აირჩიეს საბადელი როგორც ქალაქი, რომელშიც დასახლდნენ და დაიწყეს ახალი ცხოვრება.

03 Ajuntament de Sabadell

L'ajuntament és el govern local d'un municipi i l'administració més propera a la ciutadania. Els seus representants polítics són escollits en les eleccions municipals cada 4 anys.

La seva funció és proporcionar tot tipus de serveis imprescindibles per a la vida quotidiana de la seva població, com ara la neteja dels carrers o la seguretat viària. L'ajuntament gestiona el pressupost segons les necessitats de la ciutat i el formen diferents serveis, als quals es pot adreçar la ciutadania per obtenir informació o fer gestions, de forma presencial o telemàtica.


Per a més informació:

<https://web.sabadell.cat>



L'Ajuntament de Sabadell està adherit a la **Xarxa de Pobles i Ciutats pels Drets Humans** des de l'any 2005 i promou els valors de la Carta Europea de Salvaguarda dels Drets Humans a la Ciutat. Com a ajuntament, té uns principis de convivència inspirats en els valors de respecte de la dignitat de l'ésser humà, de la democràcia local i del dret a una existència que permeti millorar el benestar i la qualitat de vida de totes les persones.

A més, Sabadell també forma part de la RECI (Red Española de Ciudades Interculturales), de la Xarxa Catalana de Ciutats Refugi i de la Red Española de Ciudades Refugio.



საბადელის ქალაქის საბჭო

ქალაქის საბჭო არის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის და მოსახლეობისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული ორგანო. მისი წარმომადგენლების არჩევა ხდება მუნიციპალურ არჩევნებზე ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.

მისი ფუნქციაა მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელი მომსახურებით უზრუნველყოფა, როგორცაა ქუჩების დასუფთავება და საგზაო უსაფრთხოება. ქალაქის საბჭო განკარგავს ბიუჯეტს ქალაქის საჭიროებების შესაბამისად და შედგება განსხვავებული სერვისებისგან, რომლებსაც შეუძლიათ მიმართონ მოქალაქეებმა ინფორმაციის მისაღებად ან რაიმე პროცედურის შესასრულებლად, როგორც ადგილზე, ასევე დისტანციურად.

დამატებითი ინფორმაცია:

<https://web.sabadell.cat>



საბადელი 2005 წლიდან არის **ქსელის ქალაქები და დასახლებები ადამიანის უფლებებისათვის** წევრი და ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიის ღირებულებების დანერგვას ქალაქში. როგორც ქალაქის საბჭო, მისი თანაარსებობის პრინციპები შთაგონებულია ადამიანის ღირსების, ადგილობრივი დემოკრატიისა და ისეთი არსებობის უფლების პატივისცემით, რომელიც აუმჯობესებს ადამიანების კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხს.

გარდა ამისა, საბადელი ასევე არის ინტერკულტურული ქალაქების ესპანეთის ქსელის (RECI), ქალაქი-თავშესაფრების კატალონიის ქსელის და ქალაქი-თავშესაფრების ესპანეთის ქსელის წევრი.

Drets

Principi d'igualtat de drets i de no discriminació

Dret a la llibertat cultural, lingüística i religiosa

Dret a gaudir de mesures específiques de protecció

Dret a la participació política

Dret d'associació, de reunió i de manifestació

Dret a la vida privada i familiar

Dret a la informació

Dret general als serveis públics de protecció social

Dret a l'educació

Dret a la salut

Dret a l'habitatge

Dret al treball

Dret al medi ambient

Deures

Deure d'estar empadronat

Deure de solidaritat

Deure de respecte mutu

Deure d'escolarització

Deure de respectar el medi ambient

Deure de pagament dels impostos

Deure de respectar el patrimoni natural,
cultural i artístic de la ciutat



უფლებები

თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი

კულტურული, ენობრივი და რელიგიური თავისუფლების უფლება უსაფრთხოების განსაკუთრებული ღონისძიებებით სარგებლობის უფლება

პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

გაერთიანების, შეკრებისა და დემონსტრაციის უფლება

პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

ინფორმაციის მიღების უფლება

სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სამსახურის ზოგადი უფლება

განათლების უფლება

ჯანმრთელობის უფლება

საცხოვრებლის უფლება

მუშაობის უფლება

ეკოლოგიური უფლება

მოვალეობები

მისამართზე რეგისტრაციის მოვალეობა

სოლიდარობის მოვალეობა

ურთიერთპატივისცემის მოვალეობა

სასკოლო განათლების მიღების მოვალეობა

გარემოს დაცვის მოვალეობა

გადასახადების გადახდის მოვალეობა

ქალაქის ბუნებრივი, კულტურული და მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის მოვალეობა

04 Servei de primera acollida

El servei de primera acollida és un conjunt d'accions i recursos que us ajudaran a obtenir formació i informació que podeu necessitar si acabeu d'arribar a Sabadell. Aquest servei us donarà unes eines inicials que faran més fàcil la vostra incorporació a Catalunya.

La formació que aquest servei inclou consta de tres mòduls:

- **Mòdul A: competències lingüístiques bàsiques**
(90 hores de llengües catalana i castellana)
- **Mòdul B: coneixements laborals** (15 hores)
- **Mòdul C: coneixement de la societat catalana** (15 hores)

Quan acabeu tota la formació establerta, obtindreu el certificat final d'acollida expedit per la Generalitat de Catalunya, que pot servir-vos a l'hora de buscar feina o de fer valer la vostra formació i experiència. També us serà útil en els processos d'estrangeria, com l'arrelament social o la renovació d'autoritacions de residència, entre d'altres.

Al servei, també hi trobareu altres programes d'acollida especialitzats, dirigits a joves, dones o persones sol·licitants de protecció internacional, per exemple.

Per a més informació:

- **Programa d'Acollida**
Carrer de Sant Pau, 34
Tel. 93 745 19 53
programaacollida@ajsabadell.cat
<https://web.sabadell.cat/novaciudadania>



პირველადი მიღების მომსახურება

პირველადი მიღების მომსახურება არის ქმედებების და რესურსების ერთობლიობა, რომლებიც დაგეხმარებიან, რომ გაიარო მოსამზადებელი კურსები და მიიღო აუცილებელი ინფორმაცია, როდესაც ახალი ჩამოსული ხარ ქალაქში. ეს მომსახურება აყალიბებს საწყის უნარებს, რაც გაგიადვილებს კატალონიაში ინტეგრაციას.

ეს მომსახურება მოიცავს მოსამზადებელი კურსების სამ მოდულს:

- **მოდული A: საბაზისო ენობრივი უნარები**
(კატალანური და ესპანური ენების 90 საათი)
- **მოდული B: სამუშაო უნარები** (15 საათი)
- **მოდული C: ცოდნა კატალონიის საზოგადოების შესახებ**
(15 საათი)

ყველა დადგენილი კურსის სრულად გავლის შემდეგ მიიღებ საბოლოო სერტიფიკატს, რომელსაც გასცემს კატალონიის უნენრალიტეტი. ეს სერტიფიკატი დაგეხმარება სამუშაოს ძებნის დროს ან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დასადასტურებლად, ასევე გამოგადგება მიგრაციის პროცედურებში, როგორცაა სოციალური დამკვიდრება ან ბინადრობის ნებართვის განახლება და სხვ.

აღნიშნული მომსახურება ასევე გთავაზობთ სპეციალიზებულ მიღების პროგრამას, მაგალითად ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვის ან საერთაშორისო დაცვის მაძიებელ პირთათვის.

დამატებითი ინფორმაცია:

- **მიღების პროგრამა**

Calle de Sant Pau, 34

ტელ. 93 745 19 53

programaacolida@ajsabadell.cat

<https://web.sabadell.cat/novaciutadania>



05 Servei d'assessorament en matèria d'estrangeria

Per residir i/o treballar a l'Estat espanyol, tota persona estrangera necessita un visat específic, una autorització de residència o una autorització de residència i treball.

Alguns dels tràmits d'estrangeria més comuns són l'arrelament (social, laboral o familiar), la renovació del permís de residència i/o treball, el reagrupament familiar i la sol·licitud de nacionalitat espanyola.

Si necessiteu informació i assessorament sobre algun d'aquests tràmits, podeu adreçar-vos al Servei Ciutadà d'Acolliment als Immigrants (SCAI). És un servei totalment gratuït, subvencionat per l'Ajuntament de Sabadell, que us ajudarà i acompanyarà en el procés.

També hi podeu fer consultes sobre com sol·licitar protecció internacional o asil. L'Estat espanyol reconeix la condició de refugiat a tota aquella persona que tingui un temor fundat a ser perseguida al seu país per motius de raça, religió, nacionalitat, opinions polítiques, pertinença a un determinat grup social, gènere o orientació sexual. També reconeix la persona apàtrida que, no tenint nacionalitat i estant fora del seu país de residència habitual, no vulgui o no pugui tornar-hi pels mateixos motius.

Per a més informació:

- **Servei Ciutadà d'Acollida a la Immigració (SCAI)**

Vapor Escapçat

Avinguda de Barberà, 175

Tel. 93 727 29 75

scai@scaisabadell.org

<http://www.scaisabadell.net>



საკონსულტაციო სამსახური მიგრაციის საკითხებში

ესპანეთის სახელმწიფოში საცხოვრებლად და/ან სამუშაოდ ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ესაჭიროება სპეციფიური ვიზა, ბინადრობის ნებართვა ან ბინადრობისა და სამუშაო ნებართვა.

მიგრაციის სამსახურის ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული პროცედურებია დამკვიდრება (სოციალური, შრომითი ან ოჯახური), ბინადრობისა და სამუშაო ნებართვის განახლება, ოჯახის გაერთიანება და ესპანეთის მოქალაქეობის მოთხოვნა.

თუ დაგჭირდება ინფორმაცია ან კონსულტაცია რომელიმე ამ პროცედურასთან დაკავშირებით, შეგიძლია მიმართო მიგრანტთა მიღების მომსახურების ცენტრს (SCAI).

ასევე, შეიძლება გამოგადგეს საერთაშორისო დაცვის ან თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისთვის. ესპანეთის სახელმწიფო ანიჭებს ლტოლვილის სტატუსს ყველა იმ პირს, ვისაც აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება თავის ქვეყანაში გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო. ასევე, აღიარებს მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც იმყოფებიან მათი ძირითადი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ და არ სურთ ან არ შეუძლიათ დაბრუნება იგივე მიზეზების გამო.

დამატებითი ინფორმაცია:

• მოქალაქეთა მიღების სამსახური იმიგრაციის საკითხებზე (მმსის)

Vapor Escapçat

Avenida de Barberà, 175

ტელ. 93 727 29 75

scai@scaisabadell.org

<http://www.scaisabadell.net>



06 Empadronament. Servei d'Atenció Ciutadana (SAC)

El padró és el registre de la població del municipi. L'empadronament és un tràmit gratuït que permet acreditar-se com a persona resident a Sabadell. És necessari empadronar-se i demostrar la residència a la ciutat per poder accedir als diferents serveis públics (educatius, sanitaris, etc.).

L'empadronament és un dret i un deure de totes les persones, tinguin la nacionalitat que tinguin, i sigui quina sigui la seva situació jurídica i administrativa (és a dir, disposin d'un permís de residència o no).

Si teniu problemes per poder empadronar-vos, no dubteu a posar-vos en contacte amb alguna de les oficines d'atenció ciutadana de la ciutat, per tal de trobar una solució.

Per empadronar-vos, cal que demaneu cita prèvia:

- Per telèfon: 010 (des d'un telèfon fix) o 93 745 31 10 (des d'un telèfon mòbil)
- Per Internet: <https://citaprevia.sabadell.cat>



Oficines de Sabadell Atenció Ciutadana (SAC):

- **Oficina Central.** Despatx Lluch. Carrer de la Indústria, 10
- **Oficina Nord.** Centre Cívic de Ca n'Oriac. Carrer d'Arousa, 2
- **Oficina Sud.** Centre Cívic de la Creu de Barberà. Plaça de Castelao, 1
- **Oficina Est.** Centre Cívic de Torre-romeu. Plaça de Montcortés, 1
- **Oficina Oest.** Centre Cívic de Can Rull. Carrer de Sant Isidor, 45

Per a més informació:

<https://bit.ly/2YPEIdn>



რეგისტრაცია. მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი (SAC)

მოქალაქეთა აღწერის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის მოსახლეების აღრიცხვას. რეგისტრაციის პროცედურა არის უფასო და იძლევა საბადელის ბინადრობის დადასტურების საშუალებას. სხვადასხვა სახელმწიფო სერვისებით (საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და ა.შ.) სარგებლობისთვის აუცილებელია მისამართზე რეგისტრაცია და იმის დადასტურება, რომ ნამდვილად ბინადრობთ ქალაქში.

მისამართზე რეგისტრაცია არის ყველა ადამიანის უფლება და მოვალეობა, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და სამართლებრივი და ადმინისტრაციული მდგომარეობისა (ანუ აქვს ბინადრობის ნებართვა თუ არა)

თუ შეგექმნა პრობლემა რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მის გადასაჭრელად მიმართე ქალაქის მოქალაქეთა მომსახურების ოფისებს.

რეგისტრაციის გასავლელად უნდა დაჯავშნო ვიზიტი:

- ტელეფონით: 010 (ქალაქის ტელეფონიდან)
ან 93 745 31 10 (მობილური ტელეფონიდან)
- ინტერნეტით: <https://citaprevia.sabadell.cat>



საბადელის მოქალაქეთა მომსახურების ოფისები (SAC):

- **ცენტრალური ოფისი.** Despatx Lluch. Calle de la Indústria, 10
- **ჩრდილოეთის ოფისი.** კა ნორიაკის სამოქალაქო ცენტრი.
Calle de Arousa, 2
- **სამხრეთის ოფისი.** კრეუ დე ბარბერას სამოქალაქო ცენტრი.
Plaza de Castelao, 1
- **აღმოსავლეთის ოფისი.** ტორე-რომეუს სამოქალაქო ცენტრი.
Plaza de Montcortés, 1
- **დასავლეთის ოფისი.** კან რულის სამოქალაქო ცენტრი. Calle de Sant Isidor, 45

დამატებითი ინფორმაცია: <https://bit.ly/2YPEIdn>



07 Targeta sanitària individual (TSI)

A Catalunya, totes les persones tenen garantit l'accés al sistema públic de salut, independentment de la seva situació administrativa.

Per demanar una visita mèdica, heu de tenir la targeta sanitària individual (TSI). És gratuïta i individual: cada membre de la família n'ha de tenir la seva.

Per aconseguir-la, heu d'anar al vostre centre d'atenció primària (CAP). Obtindreu al moment una TSI provisional, i, passat un temps, rebreu la TSI definitiva per correu a casa.

Centres d'atenció primària de Sabadell:

- **CAP Ca n'Oriac.** Passeig de Sant Bernat, 22. Tel. 93 723 37 13
- **CAP Can Rull.** Avinguda de Lluís Companys, 70. Tel. 93 724 79 20
- **CAP Centre.** Plaça de Joan Olius, 9. Tel. 93 725 65 85
- **CAP Concòrdia.** Plaça de Sant Agustí, 4. Tel. 93 713 64 20
- **CAP Creu Alta.** Carrer de Castellar del Vallès, 222.
Tel. 93 723 70 14
- **CAP Creu de Barberà.** Plaça de Castelao, 2. Tel. 93 710 07 34
- **CAP Gràcia.** Carrer de Permanyer, 65. Tel. 93 746 60 82
- **CAP La Serra.** Plaça de Cristóbal Ramos, 2. Tel. 93 715 55 34
- **CAP Merinals.** Carrer de la Palma, 93. Tel. 93 745 73 90
- **CAP Nord.** Plaça de Mercè Rodoreda, 24. Tel. 93 724 71 50
- **CAP Poble Nou.** Carrer del Remei, 1. Tel. 93 726 94 15
- **CAP Sant Oleguer.** Carrer de Sol i Padrís, 56-60. Tel. 93 746 41 80
- **CAP Sud.** Carrer de Feijoo, 87. Tel. 93 720 50 86

Per a més informació:

<https://bit.ly/3pQN1kR>



ჯანმრთელობის ინდივიდუალური ბარათი (TSI)

კატალონიაში ყველასათვის უზრუნველყოფილია წვდომა სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემაში, მიუხედავად მისი ადმინისტრაციული მდგომარეობისა.

ექიმთან ვიზიტის დასანიშნად უნდა გქონდეს ჯანმრთელობის ინდივიდუალური ბარათი (TSI), რომელიც არის უფასო და ინდივიდუალური: ოჯახის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს თავისი ბარათი.

ბარათის მისაღებად უნდა მიმართო შენს პირველად ჯანდაცვის დანებსებულებას (CAP). ადგილზევე გადმოგცემენ დროებით ბარათს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ სახლში ფოსტით მიიღებ საბოლოო ჯანმრთელობის ინდივიდუალურ ბარათს.

საბადელის პირველადი ჯანდაცვის დანებსებულებები:

- **CAP Ca n'Òriac.** Paseo de Sant Bernat, 22. ტელ. 93 723 37 13
- **CAP Can Rull.** Avenida de Lluís Companys, 70. ტელ. 93 724 79 20
- **CAP Centre.** Plaza de Joan Olliu, 9. ტელ. 93 725 65 85
- **CAP Concòrdia.** Plaza de Sant Agustí, 4. ტელ. 93 713 64 20
- **CAP Creu Alta.** Calle de Castellar del Vallès, 222. ტელ. 93 723 70 14
- **CAP Creu de Barberà.** Plaza de Castelao, 2. ტელ. 93 710 07 34
- **CAP Gràcia.** Calle de Permanyer, 65. ტელ. 93 746 60 82
- **CAP La Serra.** Plaza de Cristóbal Ramos, 2. ტელ. 93 715 55 34
- **CAP Merinals.** Calle de la Palma, 93. ტელ. 93 745 73 90
- **CAP Nord.** Plaza de Mercè Rodoreda, 24. ტელ. 93 724 71 50
- **CAP Poble Nou.** Calle del Remei, 1. ტელ. 93 726 94 15
- **CAP Sant Oleguer.** Calle de Sol i Padrís, 56-60. ტელ. 93 746 41 80
- **CAP Sud.** Calle de Feijoo, 87. ტელ. 93 720 50 86

დამატებითი ინფორმაცია: <https://bit.ly/3pQN1kR>



08 Serveis sanitaris

Un cop tingueu la targeta sanitària individual, podreu ser atesos pels serveis sanitaris públics.

Podeu demanar cita al vostre centre d'atenció primària (CAP):

- Per telèfon: 93 728 44 44
- Per internet o l'APP de La Meva Salut, on podreu accedir al vostre espai personal:

<https://bit.ly/3acGnQt>



Davant d'una urgència mèdica, us podeu dirigir:

- En dia laborable (de dilluns a divendres), entre les 8 i les 21 h: al vostre CAP.
- Si és de nit (de 21 a 24 h), festiu o cap de setmana (de 8 a 24 h): al **Punt d'Atenció Continuada del CAP Ca n'Oriac** (passeig de Sant Bernat, s/n).
- En qualsevol moment, les 24 hores del dia i els 365 dies de l'any:
 - » al **Centre d'Urgències d'Atenció Primària Sant Fèlix**. Carretera de Barcelona, 473
 - » al **Servei d'Urgències Hospitalàries de l'Hospital de Sabadell** (Corporació Sanitària Parc Taulí). Parc Taulí, 1


Si teniu un dubte, consulta o problema de salut que no sigui una emergència, podeu trucar al telèfon **061**.

En cas d'una situació en què hi hagi algú greument ferit o malalt, cal que truqueu immediatament al **112**.



Per a més informació:

<https://bit.ly/3rmhMP6>



ჯანდაცვა

როდესაც გექნება ჯანმრთელობის ინდივიდუალური ბარათი, შეძლებ მიმართო სახელმწიფო ჯანდაცვის სამსახურებს.

შეგიძლია დაჯავშნო ვიზიტი შენს პირველად ჯანდაცვის დაწესებულებაში (CAP):

- ტელეფონით: 93 728 44 44
- ინტერნეტის ან Meva Salut აპლიკაციის საშუალებით, სადაც შეგიძლიათ შეხვიდეთ თქვენს პირად ანგარიშზე: <https://bit.ly/3acGnQt>



გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევაში შეგიძლია მიმართო:

- საშუაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით), 8-დან 21 საათამდე:
- შენს პირველად ჯანდაცვის დაწესებულებას.
- თუ ღამეა (21-დან 24 სთ-მდე), დასვენების დღე ან შაბათ-კვირა (8-დან 24 სთ-მდე):
- **მიმდინარე სამედიცინო დახმარების განყოფილებას CAP Ca n'Oriac-ში** (paseo de Sant Bernat, s/n).
- ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში, წელიწადში 365 დღე:
 - » **გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრს სანტ ფელიქსს (Sant Felix)**. Carretera de Barcelona, 473
 - » **საბადელის საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილებას** (სამედიცინო კორპორაცია „პარკ ტაული“). Parc Taulí, 1

თუ გაქვს კითხვები, პრობლემა ან გესაჭიროება კონსულტაცია ჯანმრთელობის ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის გადაუდებელი, შეგიძლია დარეკო შემდეგ ტელეფონზე: **061**

იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს აღენიშნება მძიმე ჭრილობა ან დაავადება, დაუყოვნებლივ უნდა დარეკოთ **112**-ზე.



09 Escolarització d'infants i joves

L'escolarització és un dret, i és obligatòria i gratuïta per a tots els infants i joves d'entre 6 i 16 anys.

Es divideix en dues etapes: educació primària i educació secundària obligatòria (ESO). També hi ha oferta educativa de 0 a 6 anys i a partir dels 16.

- 0-3 anys: escoles bressol
- 3-12 anys: centres d'educació infantil i primària
- 12-16 anys: instituts d'educació secundària

Per accedir a un centre educatiu per primera vegada, cal fer la preinscripció durant el període habilitat per fer-ho, o bé sol·licitar una cita amb l'**Oficina Municipal d'Escolarització (OME)** en el mateix moment d'empadronament de l'infant o jove:

- **Oficina Municipal d'Escolarització (OME)**


Carrer de Blasco de Garay, 19

Tel. 93 745 33 00

ome@ajsabadell.cat

Per a més informació:

<https://www.sabadell.cat/educacio>



ბავშვთა და მოზარდთა სასკოლო განათლება

სასკოლო განათლების მიღება არის უფლება და ასევე, სავალდებულო და უფასო 6-დან 16 წლამდე ყველა ბავშვისა და მოზარდისთვის.

არსებობს სასკოლო განათლების ორი ეტაპი: დაწყებითი განათლება და სავალდებულო საშუალო განათლება (ESO). ასევე შესაძლებელია სწავლება 0-დან 6 წლამდე და 16 წლის ზევით.

- 0-3 წლამდე: საბავშვო ბაღი
- 3-12 წლამდე: სკოლამდელი საგანმანათლებლო ცენტრები და დაწყებითი სკოლები
- 12-16 წლამდე: საშუალო სკოლა

საგანმანათლებლო ცენტრში ან სკოლაში პირველად შესასვლელად უნდა გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია ამ დანიშნულებით გამოყოფილ პერიოდში ან დანიშნოთ შეხვედრა **სასკოლო განათლების მუნიციპალურ ოფისში (OME)** ბავშვის ან მოზარდის მისამართზე რეგისტრაციისთანავე:

- **სასკოლო განათლების მუნიციპალურ ოფისი (OME)**

Calle de Blasco de Garay, 19

ტელ. 93 745 33 00

ome@ajsabadell.cat

დამატებითი ინფორმაცია:

<https://www.sabadell.cat/educacio>



10 Formació per a persones adultes

Encara que l'educació és obligatòria només fins als 16 anys, podem continuar formant-nos al llarg de tota la nostra vida i així desenvolupar les nostres capacitats, enriquir els nostres coneixements, millorar les nostres competències tècniques i professionals i obtenir alguna titulació.

A més, per viure i treballar a la ciutat, és molt recomanable conèixer el català i el castellà. A Sabadell, diverses institucions i entitats organitzen cursos, de diferents nivells, d'ambdós idiomes.

Als **centres de formació per a persones adultes (CFA)** podreu aprendre llengües (català, castellà i anglès), ensenyaments bàsics (lectura i escriptura, càlcul...), informàtica, etc. També hi podreu obtenir el títol de graduat en educació secundària, o preparar-vos per a les proves d'accés als cicles formatius (de grau mitjà o de grau superior) o a la universitat:

- **CFA de Can Rull.** Carrer de Gustavo Adolfo Bécquer, 24.
Tel. 93 727 43 44
- **CFA de la Concòrdia.** Carrer de la Solidaritat, 21.
Tel. 93 723 28 64
- **CFA de la Creu de Barberà.** Carrer dels Calderes, 14.
Tel. 93 711 64 48
- **CFA de Torre-romeu.** Carrer de l'Anoia, 18, 1r pis.
Tel. 93 727 56 40

Per a més informació:

<https://bit.ly/3pV9367>



სასწავლო კურსები ზრდასრულთათვის

თუმცა განათლება სავალდებულოა მხოლოდ 16 წლამდე, ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში და ამგვარად განვავითაროთ ჩვენი უნარები, გავიმდიდროთ ცოდნა, გავიუმჯობესოთ ტექნიკური და პროფესიონალური უნარები და მოვიპოვოთ აკადემიური ხარისხი.

ამასთან, ქალაქში საცხოვრებლად და სამუშაოდ მკაცრად რეკომენდირებულია კატალანური და ესპანური ენების ცოდნა. საბადელში მრავალ დაწესებულებას და ორგანიზაციას აქვს ორივე ენის სხვადასხვა დონის კურსები.

ზრდასრულთა სასწავლო ცენტრებში (CFA) შეგიძლია შეისწავლო ენები (კატალანური, ესპანური და ინგლისური), მიიღო საბაზისო განათლება (წერა-კითხვა, ანგარიში...), აითვისო ინფორმატიკა, და ა.შ. ასევე, შეგიძლია მოიპოვო საშუალო განათლების ატესტატი ან მოემზადო პროფესიული განათლების (საშუალო ან უმაღლესი ხარისხი) ან უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისთვის:

- **Can Rull-ის ცენტრი.** Calle de Gustavo Adolfo Bécquer, 24.
ტელ. 93 727 43 44
- **Concòrdia-ს ცენტრი.** Calle de la Solidaritat, 21.
ტელ. 93 723 28 64
- **Creu de Barberà-ს ცენტრი.** Calle de los Calders, 14.
ტელ. 93 711 64 48
- **Torre-romeu-ს ცენტრი.** Calle de l'Anoia, 18, 1.er piso.
ტელ. 93 727 56 40

დამატებითი ინფორმაცია:

<https://bit.ly/3pV9367>



També us podeu dirigir al **Centre de Normalització Lingüística (CNL) de Sabadell**, on trobareu cursos de llengua catalana de tots els nivells, així com altres activitats complementàries que us ajudaran a aprendre millor el català: clubs de lectura fàcil, voluntariat per la llengua, activitats culturals, etc.

- **Centre de Normalització Lingüística de Sabadell**


Casal Pere Quart

Rambla, 67-71

Tel. 93 727 83 40

sabadell@cpnl.cat

<https://bit.ly/3pT2a5d>



აგრეთვე, შეგიძლია მიმართო **საბადელის ენის ნორმალიზაციის ცენტრს (CNL)**, სადაც აქვთ კატალანური ენის ყველა დონის კურსები, და ასევე, სხვა დამატებითი აქტივობები, რომლებიც დაგეხმარებიან კატალანური ენის უკეთ დასწავლაში: იოლი კითხვის კლუბები, ენასთან დაკავშირებული მოხალისეობა, კულტურული აქტივობები და ა. შ.

- **საბადელის ენის ნორმალიზაციის ცენტრი**

Casal Pere Quart

Rambla, 67-71

ტელ. 93 727 83 40

sabadell@cpnl.cat

<https://bit.ly/3pT2a5d>



11 Homologació i convalidació d'estudis estrangers

Homologar els títols i els estudis fets a l'estranger amb els títols equivalents espanyols vol dir reconèixer la seva validesa oficial a Espanya. L'homologació suposa el reconeixement del grau acadèmic corresponent, permet continuar els estudis aquí i implica el reconeixement a efectes professionals.

Si el que voleu és continuar els vostres estudis en un centre educatiu, podeu sol·licitar la convalidació dels vostres estudis estrangers al nostre país.

És imprescindible residir a Catalunya per a aquest tràmit, però no és necessari disposar d'un permís de residència.

En el cas de voler homologar o convalidar **estudis no universitaris**, podeu dirigir-vos a:

- **Serveis Territorials d'Ensenyament del Vallès Occidental**

Carrer del Marquès de Comillas, 67-69

Tel. 93 748 44 55

st_valles.educacio@gencat.cat

<https://bit.ly/2MYvw3u>



